

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
---	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	21
4. შემოსავალი რეალიზაციიდან	22
5. თვითღირებულების ხარჯები	22
6. ადმინისტრაციული ხარჯები	22
7. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	23
8. მოგების გადასახადი	23
9. ძირითადი საშუალებები	24
10. არამატერიალური აქტივები	25
11. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	25
12. გაცემული მოკლევადიანი სესხები	26
13. მარაგები	26
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
16. მიღებული სესხები	27
17. ინვესტიციები	27
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	28
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
20. პირობითი ვალდებულებები	32
21. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	32
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	33

მმართველობის ანგარიშგება	34
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეწილეებსა და ხელმძღვანელებს,

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი თი ემ გრუპის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად და სრულად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 19,358,537 ლარის და 3,792,203 ლარის ღირებულებით, შესაბამისად. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაზე, სადაც აღწერილია კომპანიის ფუნქციონირებადობის საკითხი და განმარტებულია საოპერაციო შემოსავლის მკვეთრად შემცირების მიზეზები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხდენილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ◆ ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- ◆ შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ◆ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- ◆ დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან,

თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ♦ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ეკატერინე ბატიაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A- 491088)

შპს „ჯიმ აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 ნოემბერი 2025 წელი

თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ♦ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ეკატერინე ბატიაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A- 491088)

შპს „ჯიმ აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 ნოემბერი 2025 წელი


შპს „ჯი თი ემ გრუპ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	12,295,288	12,725,976
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(11,063,041)	(15,506,202)
საერთო მოგება		1,232,247	(2,780,225)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,195,894)	(1,518,975)
მიწოდების ხარჯები		(205,216)	(285,759)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	(2,735,835)	(2,402,541)
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,014,947)	(1,814,436)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(3,919,644)	(8,801,936)
ფინანსური შემოსავალი	7	477,990	589,773
ფინანსური ხარჯი	7	(5,710,982)	(3,619,362)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი		(3,579,050)	(584,763)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(12,731,686)	(12,416,288)
მოგების გადასახადის ხარჯი	8	-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(12,731,686)	(12,416,288)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში მომდევნო პერიოდებში			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	9	-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(12,731,686)	(12,416,288)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		ავთანდილ კოჩავაძე
მთავარი ბუღალტერი		ვანო ქარქაშაძე

11 - 33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	12,295,288	12,725,976
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(11,063,041)	(15,506,202)
საერთო მოგება		1,232,247	(2,780,225)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,195,894)	(1,518,975)
მიწოდების ხარჯები		(205,216)	(285,759)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	(2,735,835)	(2,402,541)
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,014,947)	(1,814,436)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(3,919,644)	(8,801,936)
ფინანსური შემოსავალი	7	477,990	589,773
ფინანსური ხარჯი	7	(5,710,982)	(3,619,362)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი		(3,579,050)	(584,763)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(12,731,686)	(12,416,288)
მოგების გადასახადის ხარჯი	8	-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(12,731,686)	(12,416,288)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში მომდევნო პერიოდებში			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	9	-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(12,731,686)	(12,416,288)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	ავთანდილ კოჩაძე
მთავარი ბუღალტერი	ვანო ქარქაშაძე

11 - 33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	35,664,291	39,798,119
არამატერიალური აქტივები	10	1,073,084	1,593,467
ინვესტიციები	17	4,403,700	4,403,700
გაცემული გრძელვადიანი სესხები	12	4,070,200	6,673,534
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	1,036,618	763,986
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,247,893	53,232,806
მოკლევადიანი აქტივები			
მისაღები პროცენტები	14	1,639,506	1,165,049
გაცემული მოკლევადიანი სესხები	12	1,198,979	1,325,447
საგადასახადო აქტივი	11	252,864	10,591
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	14	735,068	731,733
მარაგები	13	4,401,840	5,420,198
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	3,792,203	3,084,492
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	2,908,317	1,312,665
სულ მიმდინარე აქტივები		14,928,778	13,050,175
სულ აქტივები		61,176,671	66,282,981
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,450,000	1,450,000
ძირითადი საშუალების გადაფასები რეზერვი	9	14,648,073	14,648,073
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(28,763,822)	(16,032,137)
სულ კაპიტალი		(12,665,750)	65,936
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი პროცენტები		3,712,753	3,712,753
მიღებული გრძელვადიანი სესხები	16	38,053,621	34,627,353
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		41,766,374	38,340,106
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	16	6,405,853	7,763,674
გადასახდელი ხელფასები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		312,335	216,646
მიღებული ავანსები		5,999,322	5,807,772
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		19,358,537	14,088,846
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,076,047	27,876,938
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		61,176,671	66,282,981

11 - 33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ
2023 წლის 1 იანვარი	1,450,000	(3,615,850)	14,648,073	12,482,223
წლის სრული შემოსავალი	-	(12,416,288)		(12,416,288)
გამოცხადებული დივიდენდი	-		-	-
				-
2023 წლის 31 დეკემბერი	1,450,000	(16,032,137)	14,648,073	65,936
წლის სრული შემოსავალი	-	(12,731,686)		(12,731,686)
გამოცხადებული დივიდენდი	-		-	-
				-
2024 წლის 31 დეკემბერი	1,450,000	(28,763,823)	14,648,073	(12,665,750)

11 - 33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(12,731,686)	(12,416,288)
კორექტირებები:			
ცვეთა	9	4,894,273	4,641,652
საპროცენტო ხარჯი		3,003,771	-
სხვა ფინანსური შემოსავალი ხარჯი/ნეტო	7	(474,457)	533,715
ბიუჯეტიდან დაბრუნებული დღგ		388,950	5,351,364
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული მოგება/ზარალი		3,579,050	584,763
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(1,340,098)	(1,304,795)
მარაგების ზრდა/შემცირება		1,018,358	10,492,753
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		(707,711)	2,915,725
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		5,556,930	(4,425,222)
გადახდილი ავანსებისა და სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება		(245,608)	352,806
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,281,869	8,031,268
გადახდილი პროცენტი		(3,003,771)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,278,098	8,031,268
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა/დაუმთავრებელი მშენებლობა		(652,144.1)	(33,169,456)
არამატერიალური აქტივების შეძენა/შექმნა		-	(76,828)
გაცემული სესხების მიღება		2,749,534	-
სესხის გაცემა		(6,532)	(1,680,684)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		2,090,858	(34,926,969)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		375,578	9,976,318
მიღებული სესხის დაფარვა		155,862.42	(7,090,217)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		531,440	2,886,100
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		3,900,397	(24,009,600)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	1,312,665	25,699,472
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,304,744)	(377,207)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	2,908,317	1,312,665

11 - 33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ჯი თი ემ გრუპი“ (ს/კ 404882383) დაფუძნდა 2010 წლის 21 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, თ.იოსებძის ქ. N 57ბ. 42. კომპანია ფაქტობრივად საქმიანობას ახორციელებს ზესტაფონის რაიონში, სოფელ არგვეთში და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფეროსილიკომარგანეცის (MNC17) წარმოება. საწარმოს წილობრივი განაწილება ფინანსური ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის არის შემდეგი:

- 01252004181, ნიკოლოზ ჩუტკერაშვილი 3%
- 21001000228, მერაბი ღიბრაძე 6%
- 21001003059, ავთანდილი კოჩაძე 75%
- 01005002440, თამაზ ჯანგაძე, რუსეთის ფედერაცია, საქართველო 6%
- 01005004911, ამირან ანთაძე 10%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის მენეჯმენტს და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2024 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

2024 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება.

შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან:

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

არც ერთი ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და კრიპტოვალუტას.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა

ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

- სხვა ფინანსური ვალდებულებები.
ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მიღებული სესხებით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.
საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.
ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.5 შემოსავლები

შემოსავალი არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება.

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინებით.

შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნადო ანაგარისწორებით და გამონაკლის შემთხვევებში ნაღდი ანგარიშსწორებით. შემოსავლები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.6 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.7 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ

ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.8 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.9 გადასახადები

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.10 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც გადაფასების მომენტიდან არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. მან შეიძლება მოიცვას ნამეტის მთლიანი მოცულობა, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთის ნორმები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი**ცვეთის ნორმები**

შენიშვნები	5%
მანქანა-დანადგარები	8-20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.11 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.12 მარაგები

რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელის, ნედლეულისა და ასევე სხვა მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოვეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაანგარიშების მეთოდი ეყრდნობა იმ ყველაზე საიმედო მონაცემების გამოყენებას, რომლებიც ხელმისაწვდომია გაანგარიშების ჩატარების პერიოდში მოცემული მარაგის მოსალოდნელი გასაყიდი თანხის შესახებ. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ფასების ან ღირებულების მოსალოდნელი ცვლილებები, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული იმ სამეურნეო მოვლენებთან, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რადგან ეს მოვლენები ადასტურებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის არსებულ პირობებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ასევე, გადამუშავების დანახარჯებს. მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, მაგალითად, პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის

მიხედვით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით. სხვა დანახარჯები მარაგის თვითღირებულებაში ჩაირთვება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მარაგის მოცემულ ადგილამდე მიტანასა და მოცემულ მდგომარეობაში მოყვანასთან. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს არასაწარმოო ზედნადები ხარჯების ან ზოგიერთი დამკვეთის პროდუქციის დაპროექტების დანახარჯების ჩართვა მარაგის თვითღირებულებაში.

2.13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.14 ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.15 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, რომლის თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასება და დაშვება, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. შემოსავლები რეალიზაციიდან

შემოსავლები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	3,203,571	3,926,433
შემოსავალი ექსპორტიდან	7,084,668	8,224,580
საიჯარო შემოსავალი	361,772	43,570
სულ:	10,650,010	12,194,583
კრიპტოაქტივებიდან მიღებული შემოსავალი	1,645,277	531,394
სულ შემოსავალი	12,295,288	12,725,977

5. თვითღირებულების ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მასალების და ნედლეულის თვითღირებულების ხარჯები	7,101,151	10,900,483
ელ.ენერგიის ხარჯი	241,709	140,517
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	1,408,685	1,900,711
ცვეთა	2,158,438	2,239,110
თვითღირებულების სხვა ხარჯები	153,058	325,380
სულ:	11,063,041	15,506,202

6. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
იჯარის ხარჯი	50,334	88,236
კომუნიკაციის ხარჯი	38,129	47,575
დაზღვევა	80,646	161,534
რემონტი	594,565	722,925
საკონსულტაციო ხარჯი	71,889	72,035
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	179,383	722,130
სულ:	1,014,947	1,814,436

7. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ხარჯი	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(3,003,771)	(2,495,874)
ჯარიმები და პირგასამტეხლოები	(2,707,211)	-
სხვა ფინანსური ხარჯი	-	(1,123,488)
სულ ფინანსური ხარჯი:	(5,710,982)	(3,619,362)

ფინანსური შემოსავალი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	474,457	589,773
სხვა ფინანსური შემოსავალი	3,533	-
სულ ფინანსური შემოსავალი:	477,990	589,773

8. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

2024 და 2023 წლებში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილია ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	მიწა	შენობები	ჰიდროელექტრო სადგურები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სულ:
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	201,703	6,347,874	-	11,993,718	103,048	101,085	3,406,197	22,153,625
შემოსვლა	7,100	-	27,507,504	1,695	6,185.4	2,822.1	692,800	28,218,106
გასვლა	-	-	-	(486,267)	-	-	(391,038)	(877,305)
გადაფასება (31.12.2023)	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	208,803	6,347,874	27,507,503.5	11,509,145	109,233	103,907	3,707,959	49,494,426
შემოსვლა	-	-	-	-	38,430.0	12,889.3	328,193	379,512
გასვლა	-	(134,554)	-	-	-	-	(378,311)	(512,866)
გადაფასება (31.12.2024)	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	208,803	6,213,320	27,507,504	11,509,145	147,663	116,796	3,657,841	49,361,072
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	(634,787)	-	(4,206,721)	(72,348)	(19,021)	(853,026)	(5,785,903)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(317,394)	(1,681,478.9)	(1,257,810)	(19,159)	(23,300)	(953,427)	(4,252,569)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	193,064	-	-	149,101	342,165
გადაფასება (31.12.2023)	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(952,181)	(1,681,479)	(5,271,466)	(91,508)	(42,320)	(1,657,353)	(9,696,307)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(317,394)	(2,017,775)	(1,257,810)	(27,063)	(33,593)	(720,256)	(4,373,890)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	26,911	-	-	-	-	346,505	373,416
გადაფასება (31.12.2024)	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(1,242,664)	(3,699,253)	(6,529,276)	(118,571)	(75,913)	(2,031,104)	(13,696,781)
საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	201,703	5,713,087	-	7,786,997	30,700	82,064	2,553,171	16,367,721
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	208,803	5,395,693	25,826,025	6,237,679	17,726	61,587	2,050,607	39,798,119
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	208,803	4,970,656	23,808,250	4,979,869	29,093	40,883	1,626,737	35,664,291

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპანიამ ძირითადი საშუალებები შეაფასა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი კომპანიის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 14,648,073 ლარის ოდენობით. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სამართლიანად და სწორად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია იპოთეკის/გირავნობის/ლიზინგის უფლება უძრავ ქონებაზე, მოძრავ ნივთებასა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე. ძირითად კრედიტორს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“.

კომპანიამ 2023 წლის მარტის თვეში შეიძინა ოთხი ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში (როშკა 1, როშკა 2, როშკა 3 და კორშა). ჰესების ჯამური ღირებულებამ დღ-ს გარეშე შეადგინა 27,507,504 ლარი. ჰესები რეგისტრირებულია კვალიფიციურ საწარმოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჰესების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა გრძელვადიანი აქტივების მუხლში 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ახალ ოფისს და შეადგენს 1,036,618 და 763,986 ლარს, შესაბამისად.

10. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვებს, რომელთა ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,083,214 ლარს. ხოლო, წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,073,084 ლარს და 1,593,467 ლარს, შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული არამატერიალური აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებებიდან 1,073,084 და 1,594,142 ლარი შესაბამისად არის მინერალური რესურსების მარაგის ძიების და შეფასების ღირებულება, რომელსაც ამორტიზაცია ერიცხება 20%-იანი განაკვეთით.

11. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 252,864 ლარის და 10,591 ლარის საგადასახადო აქტივების, შესაბამისად.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

12. გაცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

კომპანიის მიერ შპს „ჯორჯიან მეტალზე“ გაცემული მოკლევადიანი სესხები კლასიფიცირდა გრძელვადიან სესხებად მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ჯორჯიან მეტალზე“ გაცემული სესხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 3,340,111 და 3,905,821 ლარს შესაბამისად, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთია 14%. გაცემული სესხის ოდენობა ვალუტაში 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 11500 და 980,000 აშშ დოლარს, შესაბამისად, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთია 7%.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კომპანიას გაცემული აქვს ხუთ იურიდიულ პირზე სესხი ეროვნულ ვალუტაში.

13. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და მასალები	667,067	1,033,612
მზა პროდუქცია	413,071	658,830
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3,321,702	3,727,756
სულ:	4,401,840	5,420,198

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,712,203	3,004,214
სხვა მოთხოვნები	80,001	80,278
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,792,203	3,084,492
საპროცენტო მოთხოვნები	1,639,506	1,165,049
სულ ფინანსური მოთხოვნები	5,431,709	4,249,541
გაცემული ავანსები	735,068	731,733
სულ არაფინანსური მოთხოვნები	735,068	731,733
სულ მოთხოვნები	6,166,777	4,981,274

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	518	6,413
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	2,072	45,802
კრიპტოვალუტა	2,905,727	1,260,450
სულ:	2,908,317	1,312,665

16. მიღებული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებების ჯამური ოდენობა შეადგენს 44,459,473 და 42,391,027 ლარს, შესაბამისად.

კომპანიას გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები მიღებული აქვს სს „თიბისი ბანკისგან“. სესხების ვალუტა არის აშშ დოლარი. სს „თიბისი ბანკისგან“ აღებული სესხების ჯამური ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 39,574,208 ლარს (\$14,099,404 აშშ დოლარი). სს „თიბისი ბანკისგან“ აღებული სესხების ჯამური ოდენობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 37,312,948 ლარს (\$13,874,079 აშშ დოლარი).

სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,375,981 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 7,733,790 ლარს. მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 33,198,227 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 29,579,158 ლარს. სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები განსხვავებულია თითოეული ხელშეკრულების მიხედვით. ყველაზე გრძელვადიანი სესხის დაფარვის საბოლოო ვადა არის 2032 წლის 30 დეკემბერი.

კომპანიას ფინანსური ვალდებულებები გააჩნია სს „თიბისი ლიზინგის“ მიმართ, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 286,176 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 428,420 ლარს.

ასევე, კომპანიას გრძელვადიანი სესხები მიღებული აქვს არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, რომელთა ჯამური საბალანსო მოცულობა მოცულობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,599,090 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,640,090 ლარს. კრედიტორებთან შეთანხმებით, მიღებულ სესხებზე პროცენტი აღარ ერიცხება.

17. ინვესტიციები

კომპანიამ 2022 წლის 17 ივნისს შეიძინა შპს „ისნის სავაჭრო ცენტრის“ (ს/ნ 406028748) 49% წილი 4,403,700 ლარად. კომპანია არ ფლობს შეძენილი საწარმოს მაკონტროლებელ წილს და შესაბამისად, არ ახდენს კონოლიდირებას. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიცია წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით. ინვესტიციის ისტორიული და რეალური ღირებულება შესაბამისობაშია.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,792,203	3,084,492
გადახდილი ავანსები	735,068	731,733
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	2,838,485	2,490,496
საგადასახადო აქტივი	252,864	10,591
ფული და ფულის ექვივალენტები	2,908,317	1,312,665
სულ ფინანსური აქტივები:	10,526,938	7,629,977
	-	-
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	44,459,473	42,391,027
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,358,537	14,088,846
სხვა ვალდებულებები	4,025,088	3,929,399
სულ ფინანსური ვალდებულებები	67,843,098	60,409,272

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით.

ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში. თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით.

შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისა განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა

და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - გაცემული და მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,792,203	3,084,492
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	6,908,685	9,164,030
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,908,317	1,312,665
სულ ფინანსური აქტივები:	13,609,205	13,561,187

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ)

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ზ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არ განუხორციელებია ისეთი არსებითი ოპერაციები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით განმარტებას.

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები.

კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ინფორმაციაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში მკვეთრად არის შემცირებული კომპანიის შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან (ფეროსილიკომანგანუმის რეალიზაცია), რადგან ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარზე არის შემცირებული მოთხოვნა პროდუქციაზე და

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ასევე, მკვეთრად არის შემცირებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი. გასათვალისწინებელია, რომ მეტალურგიის დარგისთვის მსგავსი ტიპის რყევები დამახასიათებელია. აღნიშნულის გამო, კომპანიამ 2024 წელი დაასრულა მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალით. მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აღემატება 2.15-ჯერ, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიის ლიკვიდურობას. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ სიძნელების მიუხედავად, ყველაფერს აკეთებს, რათა კომპანიამ შეძლოს საქმიანობის უწყვეტ რეჟიმში გაგრძელება. მიმდინარეობის გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკება რათა, კომპანიას ლიკვიდურობის პრობლემა არ შეექმნას. 2023 წელს კომპანიამ განახორციელა 27,507,504 ლარის ინვესტირება ჰიდროელექტროსადგურებში. ასევე, ზესტაფონის რაიონის ს.არგვეთაში მდებარე ქარხანაში 2025 წლის მაისიდან მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი, რომლის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე, რის შემდეგაც მეტალურგიული ქარხანა იმუშავებს სრული დატვირთვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც დამატებით განმარტებებს საჭიროებს.

23. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 27 ნოემბერს.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 1 იანვარი - 2024 წლის 31 დეკემბერი

ზესტაფონი, 2025

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება	შპს „ჯი თი ემ გრუპ“
საიდენტიფიკაციო კოდი	404882383
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისის ვაკე- საბურთალოს რაიონში, თ.იოსებძის ქ. N 57 ბ. 42.
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი	2010 წლის 21 დეკემბერი
საკონტაქტო ტელეფონები	+995 555 22 00 55
ელ.ფოსტა	gtmgroup@list.ru
ვებ-გვერდი	http://gtmgroup.ge
დირექტორი	ავთანდილ კოჩაძე
საქმიანობის სფერო ("ეკონომიკური საქმიანობის სახეების"- სეკ-ის მიხედვით)	ფეროსილიკომარგანეცის (Mg17) წარმოება

კომპანიის მოკლე ისტორია, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის მოკლე ისტორია და ძირითადი საქმიანობა

შპს „ჯი თი ემ გრუპი“ ჩამოყალიბდა 2010 წლის 21 დეკემბერს. დღეის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი გახლავთ ავთანდილ კოჩაძე. საწარმოს წილობრივი განაწილება მმართველობის ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის არის შემდეგი:

- 01252004181, ნიკოლოზ ჩუტკერაშვილი 3%
- 21001000228, მერაბი ღიბრაძე 6%
- 21001003059, ავთანდილ კოჩაძე 75%
- 01005002440, თამაზ ჯანგავაძე, რუსეთის ფედერაცია , საქართველო 6%
- 01005004911, ამირან ანთაძე 10%

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფეროსილიკომარგანეცის (MG17) წარმოება. კომპანია არის თანამედროვე კონკურენტუნარიანი ქარხანა, სადაც დანერგილია უახლესი ტექნოლოგიები, რაც საშუალებას აძლევს მას იყოს ერთ-ერთი ლიდერი ფეროშენადნობ საწარმოთა სექტორში.

ჩვენ საქმიანობას ვახორციელებთ ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთში არსებულ ქარხანაში, არ გაგვაჩნია ფილიალები და უახლოეს მომავალშიც არ ვგეგმავთ ფილიალების გახსნას.

საწარმოს ძირითად შენობაში განთავსებულია 11 მგვტ სიმძლავრის 600 მმ დიამეტრის გრაფიტულ ელექტროდზე მომუშავე ფეროშენადნობი ღუმელი, რომელიც ჩვენს მიერ პირველად დაინერგა საქართველოში.



ქარხნის საერთო სიმძლავრე უზრუნველყოფილია 110/10 25 მგვტ მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორიანი ქვესადგურით. დანერგილია კაზმის მომზადების, დოზირების და ღუმელზე მიწოდების ავტომატური სისტემა, რომელიც იძლევა პროდუქციის ხარისხის სტაბილურობის გარანტიას.

საამაყოთ გვინდა ავლნიშნოთ, რომ ქარხანაში დანერგილია უმაღლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ავტომატიზირებული გაზგამწმენდ სისტემათა კომპლექტი, რომელიც აკმაყოფილებს ეკოლოგიის თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და გარემოს უმნიშვნელო დაბინძურებასაც კი გამოიწვევს.

ჩვენს კომპანიას გააჩნია ხარისხის სერტიფიკატი, რომელიც აკმაყოფილებს ISO 5557-80 სტანდარტის მოთხოვნებს. იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი.

Chemical composition %

Mn	Si	Fe	C	P	S
min - max 70 - 75	17	10	1.8	0.26	0.02



ჩვენს საწარმოში ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ქიმიური ლაბორატორია, სადაც უწყვეტ ციკლში ხდება შემოსული ნედლეულის და მეტალის ყოველი დნობის შედეგად მიღებული პროდუქციის სრული ანალიზი. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი უწყვეტ რეჟიმშია უზრუნველყოფილი.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით კერძოდ, ავტომატიზირებული გაზგამწმენდ სისტემათა კომპლექტით, რომელიც აკმაყოფილებს ეკოლოგიის თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და გარემოს უმნიშვნელო დაბინძურებასაც კი გამორიცხავს. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ეტაპობრივად გავდივართ სხვადასხვა შემოწმებებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საანგარიშგებო პერიოდში სისტემატიურად ტარდებოდა შემოწმება გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ. ინსპექტირების შედეგად არ დაწესებულა არანაირი სანქცია ან ჯარიმა ჩვენი წარმოების პროცესის შემოწმების შედეგად.

ჩვენი საქმიანობა ნაწილობრივ დაფინანსებულია გრძელვადიანი სესხით, რომლის ძირითადი ნაწილი აღებულია თიბისი ბანკიდან.

თანამშრომელთა რაოდენობა

შპს „ჯი თი ემ გრუპში“ დასაქმებული პირები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. მათი მრავალწლიანი გამოცდილება ფეროშენადნობების წარმოებაში უზრუნველყოფს კომპანიის მართვის ეფექტურობას და პროდუქციის უმაღლესი ხარისხის მიღებას.

ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა გადინების პროცენტის

მინიმუმამდე დაყვანას, ამისათვის სისტემატიურად მიმდინარეობს პერსონალის გადამზადების პროცესი, რომელიც მორგებულია ფეროშენადნობთა წარმოების სფეროში დანერგილ სიახლეებთან. ჩვენ ვქმნით კონკურენტულ და მოტივირებულ გარემოს ჩვენს მიერ დასაქმებულ პირთათვის. ასევე, ჩვენი დასაქმებულები უზურნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევითა და კვებით.

ამავდროულად დაინტერესებული ვართ, რომ მოვიზიდოთ მეტალურგიული განათლების სურვილის მქონე პერსპექტიული და წარჩინებული სტუდენტები.

აღნიშნულის შედეგად და კომპანიის წარმოების წარმადობის გაზრდის კვალდაკვალ იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც (იხ. ცხრილი N1)

დიაგრამა N1. თანამშრომელთა რაოდენობა



საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფეროსილიკომარგანეცის წარმოება და მისი შემდგომი რეალიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კომპანიაში 2024 და 2023 წლების მონაცემებით მკვეთრად არის შემცირებული შემოსავლები 2022 წლის მონაცემებთან შედარებით.

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

დიაგრამა N2.



კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი აქტივები	61,176,671	66,282,981
საკუთარი კაპიტალი	(12,665,750)	65,936
მთლიანი ვალდებულებები	73,842,420	66,217,044

კომპანიის საქმიანობის შედეგების ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	12,295,288	12,725,976
საოპერაციო ხარჯები	(16,214,932)	(21,527,912)
საოპერაციო მოგება/ზარალი	(3,919,644)	(8,801,936)
წმინდა მოგება/ზარალი	(12,731,686)	(12,416,288)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება. კომპანიის პარტნიორი ბანკია სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სს „ქართუ ბანკში“.

განვითარების გეგმები

კომპანიამ 2025 წლის მაისის თვეში დაწყო ზესტაფონის რაიონის ს.არგვეთაში მდებარე ქარხნის კაპიტალური რემონტი. კომპანიამ 2023 წლის მარტის თვეში შეიძინა ოთხი ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში

(როშკა 1, როშკა 2, როშკა 3 და კორშა). ჰესების ჯამური ღირებულებამ დღ-ს გარეშე შეადგინა 27,507,504 ლარი. ჰესები რეგისტრირებულია კვალიფიციურ საწარმოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჰესების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ. შესაბამისად, კომპანია გეგმავს აღნიშნული მიმართულებით განვითარებას.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები

წარმოების პროცესში ღუმელი, რითიც იწარმოება კომპანიის პროდუქტი, პრაქტიკულად არ ითიშება ვინაიდან მისი გათბობა დიდ ელექტრო ენერგიას მოიხმარს და იწვევს მნიშვნელოვან დანაკარგს საწარმოო პროცესში, ამიტომ კომპანია იძულებულია მუდმივად აწარმოოს კონკრეტული რაოდენობის პროდუქცია მიუხედავად მასზე არსებული მოთხოვნისა. მოცემულიდან და ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, საწარმო იძულებულია პროდუქცია გაყიდოს არასარგებლოდ/არასაბაზრო ფასად, რისი განსაზღვრაც ხდება კონკრეტულ მყიდველთან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შესაბამისად, რიგ ეპიზოდებში კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მყიდველზე. საოპერაციო რისკის მართვის მიზნით, საზოგადოების მიერ მუდმივად ხორციელდება ბაზრის დივერსიფიცირების ღონისძიებები, რაც გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კლიენტურის მოძიებაში.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლისი ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს ფინანსურ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

ავთანდილ კოჩაძე

შპს „ჯი თი ემ გრუპ“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს ფინანსურ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

ავთანდილ კოჩაძე

